12 (24) აგვისტოს, 1866. № 24. პირველი წელიწადი.

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**
ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## განცხადება.

10 ივლისიდამ მელიქიშვილის სტამბა და „დროების" რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ" ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება **პირველისავე ნუმრიდამ.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების" ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: — ტფილისის გუბერნიის მარშლის კანცელარიიდგან. პოლიტიკა: - ფრანცია. - ანგლია. - პრუსსია. - ავსტრია. - იტალია. ახლანდელი ომი ევროპაში ტელეგრამმები. ბუნების მეცნიერებიდგან: - წავი. ფელეტონი: ამდროების ქართველები. სახაზინო განცხადება. ბიბლიოგრაფიული ცნობა.

გასწორება: წინა ნომერში ანტვერპენი ჰოლლანდიის ქალაქად არის მოხსენებული. ანტვერპენი ბელგიის ქალაქია და არა ჰოლლანდიისა.

### მმართებლობის განკარგულება.

ტფილისის გუბერნიის მარშლის კანცელარიიდგან.

მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა ინება, რომ ტფილისის გუბერნიის აზნაურობამ მომავალის სამწლოვანებისათვის კენჭით არჩევა დაიწყოს ამ წლის 1-ს დეკემბერს. გუბერნიის მარშალი საზოგადოობას აცნობებს ამასა და თვითოეულად სთხოვს ყოველთავე თავთავისი ვალდებულების აღსრულებისათვის დროეთ იზრუნეონ, რომ ამითი პასუხის-გება მოიცილონ დაწესებულის რიგის აღუსრულებლობისათვის; და ამასთან დასძენს, რომ უეზდებში შეკრება უნდა მოხდეს 1-ს სეკტემბერს.

### პოლიტიკა.

**ფრანცია.** ერთს ფრანცუზულს გაზეთში, რომელსაც Opinion National ჰქვიან, აი რა სწერია: „ბერლინის ჟურნალებს თუ დაუჯერეთ, პრუსსიის კაროლი ვილჰელმი სრულებით დაკმაყოფილდება ელბის პირის საღერცოგოების გარდა ზოგიერთის ჩრდილოეთ-გერმანიის სახელმწიფოებითა, რომლებსაც შეუერთებს თავის საკაროლოს. აი ეს სახელმწიფოები: საკურფირსტო ჰესსენისა, საღერცოგო ნასსაუსი, ჩრდილოეთის ნაწილი ჰესსენ-დარმშტადტისა და თავისუფალი ქალაქი ფრანკფურტი თავისის ტერრიტორიითა (მაზრითა). ამ სახელმწიფოებში პატარა საკაროლო ჰანოვერისა არ არის მოხსენებული, მაგრამ რადგანაც ბერლინის მმართებლობას უნდა, რომ ერთი მჭიდროდ შემოერთებული და გაუნაწილებელი პრუსსიის სახელმწიფო შეადგინოს, ამისთვის პატარა ჰანოვერის საკაროლოც უეჭველია უნდა მოისპოს. ამტკიცებენ აგრეთვე, რომ ერთი პროვინცია ფრისლანდია ოლდენბურგის დიდ-საღერცოგოს მიემატებაო. ამ გვარად გადიდებული პრუსსია შეადგენს 23 მილლიონს მცხოვრებს, ესე იგი მიიმატებს მხოლოდ 4 მილლიონს და 200 ათასს მცხოვრებს, რადგანაც უწინდელს პრუსსიაში ირიცხებოდა 19 მილლიონი მცხოვრები. მართლად კი პრუსსიის კაროლი შეიქნება მთელის ჩრდილოეთის გერმანიის მბძანებელი, რადგანაც დანარჩენის სახელმწიფოების სამხედრო ძალაც იმის ხელში უნდა იყოს; მაშასადამე ის გახდება ხელმწიფე 28 მილლიონის ნემცებისა და სლავიანებისა. ამის გამო პრუსსია 28 მილლიონის მცხოვრებითა დაიჭერს მეექვსე ალაგს ევროპის სახელმწიფოების რიგში. მცხოვრებლების სიმრავლით აი რა რიგათ დგანან ევროპის სახელმწიფოები.

რუსეთს 78 მილლიონი ჰყავს, ფრანციას 37 მილლიონი და 472 ათასი მცხოვრები, ავსტრიას (უ ვენეციოთ) — 34 მილლიონი 550 ათასი, დიდ-ბრიტანიას (ანგლიას, შოტლანდიას და ირლანდიას ერთად) — 29 მილლიონი 400 ათასი, პრუსსიას — 23 ან 28 მილლიონი, იტალიას (ვენეციით) 23 მილლიონი და 270 ათასი მცხოვრები. აქედგან აი ეს გამოდის: პრუსსია უფრო მეტიც და უფრო მჭიდროთაც რომ იყოს შეკავშირებული, ჩვენს მტრებს მაინც ვერ შეუძლიანთ დაგვიმტკიცონ, რომ ის ჩვენთვის სასაშიშროა, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ახლანდელი ცვლილება გერმანიაში არაოდეს ისე არ უნდა გათავდეს, რომ ჩვენც არ გვერგოს ზოგი ნაწილი იმის მიწებისა...".

**ანგლია.** ანგლიის ჟურნალების აზრი ახლანდელს პოლიტიკურს მდგომარეობაზედ ევროპაში. ანგლიაში ძლიერ უხარიანთ პრუსსიის გამარჯვება, რადგანაც იქ სწამთ, რომ მომავალში ფრანციის გავლენა და ძლიერება ამით შემცირდება. ერთი ანგლიის გაზეთი ამ საქმეზედ აი რას ამბობს: 3 ივლისამდის ნაპოლეონის მდგომარეობა ბევრის მხრით იყო უპირველესი. ის ბევრს მიაჩნდა იმისთანა ხელმწიფედ, რომელიც ხმელეთზედ იყო თავი დიდის სახელმწიფოისა, რომელიც არის მაღლად განათლებული, მაგრად დაწყობილი და შეკავშირებული. ერთის სიტყვით ნაპოლეონი იყო თავი იმისთანა სახელმწიფოსი, რომელსაც იმის ერთი ხელის დაქნევა ისე შესძრავდა, როგორც ერთს კაცსა. ის აღარ არის ახლა ერთად ერთი გვამი, რომელსაც ამისთანა ძლიერება აქვს ევროპაში. ახლა კი ცხადია, რომ პრუსსიის კაროლსაც შეუძლიან, თუ დასჭირდა, გამოიყვანოს ბრძოლის ველზედ ნახევარ-მილლიონი ისე კარგათ გაწრვთნილი და შეიარაღებული მხედრობა, რომ ვერც ერთი სახელმწიფოს მხედრობა იმაზედ უკეთ გამოწყობილი ვერ გამოვა. ახლა ძალიან შესაძლებელია, კაცმა იფიქროს, რომ, თუ პრუსსია თავის სარგებლობისთვის შესია ჯარით ფრანციას, მაშინ ომი ორივე მხრისთვის შეიქნება მეტად დამღუპველი. — ახლანდელს ომში პრუსსიას რომ სულაც არა მოეგო რა, ერთი ნაბიჯი

---

### ამ დროების ქართველები.

მე წინათ მოგახსენეთ, რომ ჩვენი დედმამები ყმაწვილს სასწავლებლით, ანუ შკოლით აშინებენ მეთქი; ამას რაც ზედმოქმედება აქვს იმათზე, ეს ცხადია. ყმაწვილები შორიდგანვე შკოლას შიშით უყურებენ; იმათ ისა აქვთ წარმოდგენილი მოსაჭკვიანებელ ადგილათ; ისინი წინათვე რაღაცა შიშით და კრძალვით უყურებენ იმასა და იქ წასვლა სასიკვდინოთ მიაჩნიათ. სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ყმაწვილები არცა სტყუვდებიან თავიანთ ფიქრში; იმათი ქორფა სული წინათვე გრძნობს დედ-მამების ჩაგონებით იმ მომავალს, რომლითაც დააჯილდოვებს ხოლმე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ანუ შკოლა; ისინი არა სტყუვდებიან, რომ შკოლაში წასვლა სასიკვდინოთ მიაჩნიათ. ჩვენი დედ-მამები ემუქრებიან თავიანთ შვილებს რომ „შკოლაში დაგაჭკვიანებენო" და მართლაც ჩვენ ზოგიერთ სასწავლებლებს სწორეთ დამაჭკვიანებელი ხასიათი აქვთ: ყმაწვილს აძლევენ ხელში წიგნსა უცხო ენაზედ და ეუბნებიან გაიზეპირეო. ყმაწვილი რაც უნდა ფხიზელი და ცქვიტი იყოს, ისე გამოშტერდება, რომ ჭკვიანობის მეტი ვეღარა შეუძლიან რა. ამ ნაირი შკოლები თავიანთი ზედ-მოქმედებით ყმაწვილებში აჭკნობენ ყოველს კაცურს ნდომას, ფიქრს და გრძნობას; იქ ყმაწვილები ისეთ მდგომარეობამდინ მიახწევენ ხოლმე, რომ იმათ ყოვლის ფერზე გული აუცრუვდებათ და ვერც ერთს საგანზე ცხოველი ჰაზრის წარმოთქმა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ.......

წარმოიდგინე, მკითხველო, ვითომ შენ ჩინეთური ანბანის კითხვა იცი, სხვა არაფერი არ ენისა. ამ დროს შენ მოგიტანეს ერთი ფურცელი, ან ცოტა და ან მეტი, და გიბძანეს, რომ ხვალ დილით მოდი და მითხარი იმ ჩინეთურ ენაზედვეო ის, რაც იმ ფურცელზედა სწერია. მაშინ შენ რას იქმოდი? რასაკვირველია მაშინ შენ ორში ერთი უნდა ამოგერჩია: ან სულ თავი დაგენებებინა იმისთვის, თუ კი, რასაკვირველია, იმოდენა გაბედულობაც გექნებოდა, რომ მბძანებლისთვის უარი გეთქო..... ამისთვის შენ იძულებული იქნებოდი, შინ რომ წახვიდოდი, აგეღო ხელში ის ჩინეთური წიგნი და კითხვით ჯერ კარგა გაგეკვეთა და მასუკან ეს გაკვეთილი გაგეზეპირებინა, უამისობა ხომ არ შეიძლებოდა? ორში ერთია: ან უნდა გაგეზეპირებინა, ან არა და მეორე დღეს ბრძანებლისგან საყვედური და იქნება წკეპლებიც მიგეღო. თუ პირველი ამოირჩიე, წარმოიდგინე თავი რა რიგათ გაგიბრუვდებოდა მეტის-მეტი ძალის დატანებით გასაზეპირებლათ, რა ნაირათ დაიღალებოდი და დაიქანცებოდი მეტის მეტი კითხვით და ერთ ალაგზე ჯდომით, რა ნაირათ აგტკივდა თავი და ჯანი და, თუ მეორე ამოირჩიე, წარმოიდგინე მეორე დღის საუზმე, რომელსაც მბძანებელი მოგართმევდა ბძანების აუსრულებლობისთვის. ორივე შემთხვევაში, მგონია, შენი გაჩენის დღე კი გეწყევლა და! აი, მკითხველო, ამ ორთა-წყალ შუა არიან ჩაცვივნულები სასწავლებელში მიცემული ჩვენი ყმაწვილებიც. მიიყვანენ რვა ცხრა წლის ყმაწვილს, რომელმაც რუსულისა არაფერი არ იცის, რადგანაც ეს იმისთვის შეუძლებელია, მისცემენ ხელში სხვა და სხვა წიგნებს და უბძანებენ, რომ ისწავლოს. მაგრამ რას ისწავლის, რისაც არაფერი არ ესმის? — ამ შემთხვევაში ჩვენი ყმაწვილიც ორში ერთს ამოირჩევს ხოლმე: ან სულ თავს მიანებებს სწავლასა და ტყუილ-უბრალოთ ივლის შკოლაში, რისთვისაც, რასაკვირველია, ბევრს საჩუქარს მიიღებს თავის მასწავლებლებისაგან, ჩაირიცხება უნიჭოდ და უვარგისად და შემდეგ სასწავლებელიდგან დაითხოვება; ან არა და ზეპირობას (зубреніе) მიჰყოფს ხელს. მასუკან ზეპირობასაც ზეპირობა ჰქვიან! ზოგიერთი ზეპირობს და ისიც ესმის შიგ რაც სწერია, მაგ. როგორც ლექსებსა სწავლობენ; — ჩვენი ყმაწვილები ზეპირობენ გაუგებრათ და შეუგნებლათ გაზეპირებულის ჰაზრისა, რადგანაც ენა არ იციან. ამ ზეპირობის შემდეგიც ის არის, რომ მოსწავლეების ბევრს ნაწილს სწავლაზე გული აუცრუვს და სამი ოთხი წლის უკან სწავლისთვის თავი დაანებებინოს. აბა თუ ღმერთი გწამთ, იმის სწავლა შეიძლება, რასაც კაცი ვერ გაიგებს?.. აბა თუ ღმერთი გწამთ, რა ნიჭი უნდა შერჩეს ყმაწვილს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ის არის ჩავარდნილი? შეიძლება იმას ნიჭი შერჩეს, რომელსაც ყოველ დღე თავის ტკივილი ჰკლავს? რა გული და სწავლის სურვილი უნდა შერჩეს იმას, რომელიც ყოველ დღე დილის წვალებით და ვაივაგლახით იზეპირებს გაკვეთილებს და სრულებით კი არა ესმის რა იმისი? ყმაწვილს ამისთანა მდგომარეობაში სწავლაზედ სრულებით გული უნდა აუცრუვდეს და ჩვენ ყმაწვილებს მართლა ისეც მოსდით:

„ორთითი და ფიწალიო,
მე აქ ვერას ვისწავლიო.
დამითხოვეთ შინ წავიდე,
ჰოროელას ვისწავლიო"

აი ჩვეულებრივი სიტყვები, რომლებსაც ყმაწვილები, ამ მდგომარეობიდგან შეწუხებულები, ერთი ერთანეთს უმღერენ; სიმღერას საქმითაც აასრულებენ ხოლმე, მაგრამ ორთითსა და ფიწალს კი ყველანი არ მოჰკიდებენ ხელსა, რადგანაც იმათ ხმარებასაც გადაჩვეულები არიან. ამისათვის აიღებენ თავსა და სადმე სამსახურში შევლენ და ამით გაათავებენ თავიანთს განათლებას.....

ყმაწვილების ამ მდგომარეობას ჩვენი ქართველი სრულებით ყურს არ უგდებს, წაიყვანს კი და შკოლაში მიაბარებს, და იქ ამას იმისი დარდი არა აქვს. მე მინახავს ქართველი, რომ პარკამბეჩებს ზამთარში გააბარებს გამოსაკვებავათ და ზაფხულში როცა მოუყვანენ, გარეშემო შემოუვლის, ყველას გავაზე ხელს კადუსვამ და დაათვარიელებს კარგათ მოუვლიათ და გამოუკვებიათ თუ არაო; მაგრამ ამასთან ესეც მინახავს, რომ შვილების შინ მოსვლას იმაზე არაფერი ზედ-მოქმედება არა აქვს, იმათ ყურსაც არ მიუგდებს ჩვენი ქართველი, იმათი დარდი არა აქვს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ კარგათ უნდა იყვნენო. ამ საქმეშიაც ჩვენი ქართველი ძალიან მინდობილი და მორწმუნე კაცია! — იქნება ქართველო კაცო, იკითხო: მაშ რა უყო და როგორ მოვიქცეო? თუ მართლა იკითხავ, აი

მიწაც რომ არ მიემატებინა თავის საკაროლოსთვის, ფრანციამ მაინც ბევრი დაჰკარგა იმითი, რომ იმას გამოუჩნდა ხმელეთზედ იმისი ტოლი, რომელიც მუდამ გამზადებული ვევება თავისი სამხედრო ძალა ფრანციასავით შეაგდოს სასწორზედ. ესეც ბევრია, მაგრამ საქმე ამითაც არ თავდება. აქამდის ფრანციას ჰყავდა მოსაზღვრეთ პატარ-პატარა სახელმწიფოები, ზოგი იმათგანი თვით იმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ვერც ერთი იმასთან შებმას და ჩხუბს ვერ გაბედავდა. ისინი ემორჩილებოდნენ ფრანციის ხელმწიფის რჩევას და ეს კიდევ უფრო წააქეზებდა ხოლმე და გულს გაუამაყებდა. ამ ჟამად, დიდი ცვლილებაც რომ არ მოხდეს, ყველა ზემოხსენებული სახელმწიფოები მაინც პრუსსიის გარს შემოკრბებიან. იტალიამ კიდეც მიაქცია იმაზედ თავისი თვალი და მცირე გერმანიის სახელმწიფოებიც ბევრს არ დაიგვიანებენ, რომ ამ მაგალითს მიბაძონ და ამ გვარი საქმე კი ძალიან შეამცირებს ფრანციის ძლიერებას.

**პრუსსია.** წევრების რიცხვი მომავალის გერმანიის პარლამენტისთვის. ბერლინის კაბინეტის ოფიციალურმა გაზეთმა **საპროვინციო კორრესპონდენციამ** გამოაცხადა შემდეგი ცნობა, თუ როგორ განაწილდება მომავალის გერმანიის პარლამენტის წევრების რიცხვი: „პრუსსიას თავისის მაზრებით—პრუსსიით და პოზნანით ეყოლება 193 წარმომადგენელი. ამ რიცხვში 30 დეპუტატი ეყოლება პრუსსიის მაზრას, პოზნანს 15, ბრანდერბურგს 26, პომერანიას 14, სილეზიას 35, ვესტფალიას 17, სარეინო მაზრებს 35 და ღოღენცოლერნს 1. ჩრდილოეთ-გერმანიას ეყოლება 98 დეპუტატი პარლამენტში. თუ სამხრეთ-გერმანიაც მოინდომებს, რომ ჰყვანდეს თავისი წარმომადგენლები პარლამენტში—იმათი რიცხვი იქნება 89-დინ. აქედგან სჩანს, რომ პარლამენტის წევრების რიცხვი იქნება 380.

**ავსტრია.** ავსტრიელები მხნეთ ემზადებიან, რომ იტალიელებს გაუმაგრდნენ, თუ ვინიცობაა ხელახლა ომიანობა ასტყდა. ავსტრიის ჯარი, რომელიც ლაიბახს და გრაცს შუაა დაყენებული, 15 ათასის კაცით კიდევ გაძლიერდება. ავსტრიის მმართებლობამ განიზრახა, რომ ტრიენტის მაზრა უეჭველათ დაირჩინოს. ვერონიდამ ტრიენტში ჯარი კიდეც გაგზავნეს. ღენერლის ჩიალდინის არმია ემზადება ტიროლში შესვლას სამის სხვა და სხვა მხრით: პერიგინესთან, ტაბლოხის მთის კასაველით; გზით, რომელიც მიდის პიოდამ როვერდეროს და რაკოაროსთან, გზით, რომელიც მიდის ვალდანიოდამ ალას.

**იტალია.** ბარონი რიკაზოლის წერილი. პევრს იტალიის ჟურნალებში დაბეჭდილია მინისტრების რჩევის პრეზიდენტის ბარონის რიკაზოლის წიგნი, რომელიც იმან მისწერა დეპუტატს ჯუზეპპე ბლანჩერის. ამ დეპუტატმა გამოუცხადა პრეზიდენტს, რომ ის დიდათ შეშფოთებულია იმითი, ვაი თუ საქმე ისე მოხდესო, რომ იტალიის ერთობა სრულად არ დამყარდესო. აი მინისტრის პასუხი: „მე შემიძლიან გიპასუხოთ თქვენ ორის სიტყვით, რადგანაც მეტის მოწერის დრო არა მაქვს. მინამ მე მინისტრი ვარ და სული მიდგას, შესაძლებელი არ არის, რომ იტალიამ ერთი მტკაველი მიწაც ვისმეს დაუთმოს. დარწმუნებული იყავით ამაში და ხალხსაც გამოუცხადეთ ჩემი აზრი. თუ სადმე იპოება იმისთანა იტალიელი, რომელიც უღალატებს თავის მამულს და იმის მტრად შეიქნება, აცნობეთ ეს მმართებლობას, და ის აღასრულებს თავის მოვალეობას. მე არ ვიცი ქვეყანაზედ რაღა უნდა იყოს იმაზედ უარესი, რომ იტალიას თავის საკუთრებაზედ ვინმემ ხელი აღებინოს. ყველას გულითადის სიყვარულით მოვიკითხავ". რიკაზოლი.

**იტალიელების განრისხება ადმირალს პერსანოზედ.** როგორც იტალიის ჟურნალები სწერენ, გენუელები აპირობენ შემდეგის წერილის გაგზავნას მინისტრების რჩევის პრეზიდენტთან: „თქვენო ალმატებულებავ! გენუა დიდათ შეძრწუნდა და დიდს მწუხარებას მიეცა, როცა გაიგო ლისსასთან ბრძოლის ამბავი, სადაც ასე დიდი ზარალი მოგვეცა ჩვენ, სადაც ამდენი კაცი დაგვეხოცა და ორი გემი დაგველუპა ზღვაში. ხალხი ამაში ბრალეულობას სდებს ადმირალს და იმის უვარგისობას. ყოველგან ერთი საზოგადო ხმა ისმის, რომელიც ითხოვს, რომ ადმირალი პერსანო სამხედრო სასჯელს მიეცეს (როგორც ანგლიის ადმირალი ჯონი ბინგი). როგორც უწინ ვენეცია სთხოვდა სენატს, რომ ფლოტის უფროსათ ვიტტორიო პიზანო დაენიშნათ, ისე ახლა გენუელები, რომლებიც ზღვაში გამოცდილნი არიან, გთხოვენ თქვენ, რომ იშუამდგომლოთ მის დიდებულებასთან, რომ უფროსობის რიგს სამსახურში თავი დაანებონ და იტალიის ფლოტის წინამძღომლობა იმისთანა კაცს ჩააბარონ, რომელსაც შეუძლიან აღასრულოს სამშობლო ქვეყნის საყოველთაო წადილი და მამაცობასთან კეთილ-გონიერი, მოხერხებული და გაფთხილებულიც იყოს. ხალხმა უჩვენა კიდეც ამისთანა კაცი. ეს არის კონტრ-ადმირალი, კავალერი ბალლი-დელლა მანტიკა. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერთა ვიკისრეთ, რომ გაცნობოთ თქვენ ეს საზოგადო ჩვენი აზრი და გამოვაცხადებთ ჩვენს სურვილს, რომელიც ჩვენ გულში გვაქვს ჩასახული და რომელსაც ჩვენის პირითაც ვაღვიარებთ.—თქვენო ალმატებულებავ! მოიხმარეთ ეს ენერგიული ღონის-ძიება, რომ დღეს აღადგინოთ იტალიის ფლოტი, დაიცვათ იმისი სახელი და პატივი." ამის შემდეგ ტელეგრამმამაც ჩქარა გვაცნობა, რომ პერსანო უარზედ არ არის, რომ წარუდგეს სამხედრო სამსჯავროს.

როგორც ფლორენციიდამ იწერებიან, 31 ივლისიდამ, დაიწყო საქმის გაძიება ადმირალს პერსანოზედ.

**პაპის წინადადება რომის გადაცემაზედ ფრანცუზებისთვის.** Indépendance Belge სწერს: „ერთი ჩვენი რომის კორრესპონდენტი გვაცნობებს ერთს დიდათ შესანიშნავს ამბავს. პაპამ შეკრიბა კარდინალები და დაწვრილებით უამბო, რომ დროებით საჭიროა ფრანცუზებს რომი გადასცენ, რადგანაც ამ ჟამათ მოგველისო დიდი გაჭირვება. ამ წინადადებას მრავალნი წინააღუდგნენ და შესდგა ძლიერი ოპპოზიცია. მაგრამ უმეტესობამ მიიღო მოხსენებული პაპის აზრი, რადგანაც დაინახა იმაში მიუცილებელი საჭიროება და დიდი სარგებლობა. ჩვენი კორრესპონდენტი არ ამბობს, რაში მდგომარეობს ეს ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა. როგორც ვფიქრობთ, წმინდა მამას (პაპას წმინდა მამას ეძახიან) აქვს საქმეში [illegible]დილი და ჰსურს, რომ თავის [illegible] მტკიცედ დაამყაროს კონკლავის (სასულიერო კრების) თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენ ჯერ კიდევ ნამდვილათ არ ვიცით, თუ როგორ გადასწყვიტა ეს საქმე პაპამ.

**გარიბალდის პროკლამაცია ტრიენტის მცხოვრებლებთან.** ღენერალმა გარიბალდიმ გასცა შემდეგი პროკლამაცია ტრიენტის მცხოვრებლებთან: „იტალიის წადილი და თქვენი იმედი ახლა უნდა აღსრულდეს. ჩვენი თოფების გრიალი თქვენ ყურამდის მოახწევს და მოგიწოდებთ თავისუფლებისთვის. ის ძმურად დაგეხმარებათ თქვენ და დაგიხსნით მტრისაგან. ჩვენმა მამაცმა ჯარმა განდევნა ავსტრიელები ვენეციიდამ, მაგრამ ისინი კიდევ დაჟინებით იბრძვიან ტრიენტში, რომ მოგაშორონ თქვენ მშობელს დედას, და ამ საზოგადო ერთობას და ხალხს, რომლის წარმომადგენელიც არის ჩვენგან აღმორჩეული კაროლი, კაროლი-მხედარი. ავსტრია, რომელიც თქვენ ასე გავიწროვებდათ, რომელიც თქვენს სისხლსა სწოვდა და არა გრაცხდათ იტალიელებათ, ის ავსტრია იძულებულია, რომ წაიყვანოს აქედგან თავისი ჯარი თავისი დედა-ქალაქის დასაცველათ, რომელსაც უპირებენ დაცემას პრუსსიის გმირები. მაგრამ თქვენ არაოდეს არავის მონა არა ჰყოფილხართ და არც არავის გაუხდებით." მე, როგორც ამპარტავანი სალდათი და იტალიელი, ამას ისე მოვიგონებ! მუნიციპიურის წინააღმდეგობით და გამბედავის შეთქმულობით თქვენ ყოველთვის იცავდით იტალიის სიმართლეს, იმ სიმართლეს, რომელიც ჩვენ შევისყიდეთ ყმაწვილ-კაცობის ძვირფასის სისხლითა. ამ ახალგაზდა სალდათებს, რომლებსაც მე წინ მიუძღვი, არაფრათ მიაჩნიათ დაღალულება და სხვა ათასი განსაცდელი. ისინი ბედნიერნი არიან იმითი, რომ თქვენ იმათ ძმურათ მიეგებენით. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თქვენ მხნედ და მხურვალეთ მოეხმარებით იმათ და ყველაფერში შემწეობას მისცემთ. თქვენც, ჰოი გმირნო, იმდენი ძალა უნდა მოიხმაროთ, რომ თავი გამოიხსნათ თქვენის დაუძინარის მტრისაგან! დაარღვიეთ დიპლო-

---

ეხლავე მოგახსენებ, რაც უნდა უყო: ის უნდა ეცადო, ჩემო ქართველო, რომ შენ შვილებს შენს ენაზე მისცე პირველ-დაწყებითი სწავლა. ყველგან ისე მომხდარა, თუ ყმაწვილი პირველიდგანვე უცხო ენაზე იწყებს სწავლასა, იმისაგან ხეირი არაოდეს არ გამოსულა. ჯერ უნდა ენა იცოდე და მასუკან იმ ენაზე წაიკითხო რამე გასაგებლათ, უამისობა არ იქნება.........

ამისთვის მიუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენი ყმაწვილები მანამდისინ რუსულს ენას იმდენათ შეითვისებენ, რომ იმ ენაზედ ლაპარაკი შეეძლებათ, მანამდისინ ქართულს ენაზე ისწავლონ, მასუკან კი შეუძლიანთ რუსული ენით შეიმთავრონ, რადგანაც იმის გაგება აღარ გაუჭირდებათ. მხოლოდ ამ ღონისძიებით თუ გამოვიხსნით ჩვენ ყმაწვილებს იმ მდგომარეობიდგან.—ზოგნი იტყვიან, რომ ეს არ იქნებაო, რადგანაც ქართულ ენაზედ არაფერი ხელსამძღვანელი წიგნები არა გვაქვსო. ამაზედ თითონ მეც ვჩივლე, რომ ჩვენი განათლებული ახალი ქართველები ყმაწვილებს ყურს არ უგდებენ მეთქი, რომ იმათთვის ხელსამძღვანელო წიგნებს არ სწერავენ.—მაგრამ მაინც თუ გული გულობს, თუ საქმე საქმემდინ მიახწევს და სწავლის მეთოდა გამოგვეცვლება, ქართულს ენაზე სწავლება ადვილი შესაძლებელია. პირველზედ ისეთ დიდს სიბრძნეს არ ასწავლიან და არც არის საჭირო, რომ ქართულ ენაზედ იმის გადაცემა არ შეიძლებოდეს. დიახ, მკითხველო, ეს ადვილათ შესაძლებელი საქმეა, თუ კი ძველი მეთოდის გამოცვლა გვეღირსება... ყმაწვილებისთვის ქართულს ენაზედ სწავლება პირველათ სასარგებლო იმითი იქნებოდა, რომ ყმაწვილებს ზეპირობიდგან გამოიხსნიდა, იმათ თავი აღარ გამოუშტერდებოდათ და სწავლას ხალისიანათ მიჰყოფდნენ ხელსა; ამ დროების განმავლობაში რუსულს ენასაც კარგათ შეითვისებდნენ და მასუკან კარგათ წავიდოდა საქმე. მეორეთ მითია სასარგებლო ქართულს ენაზე სწავლება, რომ ყმაწვილებს ქართულს ენას აღარ დაავიწყებს, არამედ უფრო და უფრო ენას გაუმართავს და დაახელოვნებს ქართულში. ეს ყმაწვილებს გამოიხსნიდა იმისგან, რომ ქართველმა ქართული ლაპარაკი აღარ იცის ხოლმე........

ამას ჩვენმა საზოგადოებამ ყური უნდა მიუგდოს, თუ თავის შვილებისთვის კეთილი უნდა, თუ უნდა, რომ იმათგან გონება—განათლებული და სასარგებლო კაცები გამოვიდნენ. ამას კი ვიტყვი, რომ ზოგიერთს დასაწყისს სასწავლებლებში მასწავლებლები საშინლათ ცუდათ ეკიდებიან ყმაწვილებსა. იმათი ცდილობა და მიმართულება ის არის, რომ ყმაწვილში ნაკლულევანება შენიშნონ და ამისთვის სასჯელი მისცენ რამე. ეს სწორეთ იეზუიტური ქცევა არის, და ჩვენი დასაწყისი შკოლებიდგან ჯერ ფეხი არ გამოუდგამს საშუალ საუკუნოების აღზრდის მეთოდებს. ამას რომ ყმაწვილებზე ცუდი მოქმედება აქვს—ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ცხადია. ყმაწვილი მაშინ თავის მასწავლებლებს უყურებს, როგორც თავის მტრებს და მტანჯველებს, მათთან ლაპარაკიც ერიდება, მათ აღარ ერწმუნება და ხშირათ იმათ ლაპარაკს, დარიგებას და სწავლას ყურსაც აღარ უგდებს. აბა თუ ღმერთი გწამთ, ერთი კაცი ვინმე რომ თვალის დასანახავათ გეჯავრებოდეთ და იმ კაცმა მოგცეთ რამე, რომლის სარგებლობაც ჯერ ჯეროვნით არ იცით, გამოართმევთ? არა მგონია. ჩვენ ყმაწვილებსაც სწორეთ ისე მოსდით. ამ მასწავლებლების ყმაწვილებისგან გაშორებას და მათთან ფიცხლად ქცევას კიდევ ის მოქმედება აქვს, რომ ყმაწვილებში ხსნის პირ-ფერობას და პირ-მოთნეობას. ყმაწვილს რომ სასჯელისა ეშინიან, ამისთვის სულ ჩუმათ მოქმედობს, თავის საქმეს და ჰაზრს დაფარულათ ინახავს და ცდილობს კი წმინდათ და კაი კაცათ ეჩვენოს.... რომ იმდენს დროს კლასებში ჯდომა, რამოდენიც ჩვენ სასწავლებელში არის დანიშნული ყმაწვილებისთვის ($8-1\frac{1}{2}$ საათამდე) ძალიან ძნელი ასატანია მცირე წლოვანებისთვის.... წარმოიდგინეთ იმოდენა გონების შრომა და ერთ ალაგას ჯდომა, რომელიც შვიდი რვა წლის ყმაწვილებმა უნდა გამოიარონ: დღეში ხუთ საათ ნახევარი სასწავლებელში ჯდომა, მასუკან გაკვეთილის გაზეპირება, რომელზედაც ყმაწვილს უეჭველათ ორი იმოდენა დრო თუ არა, ერთი იმოდენა მაინც მოუნდება.

ამას რა მოქმედება უნდა ჰქონდეს ყმაწვილის ორგანიზმზე? ყმაწვილი ბუნებით ცელქია, რასაც თავისი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვს; იმას მოძრაობა უყვარს, წმინდა ჰაერში სირბილი, და ამისთვის ზემოთ მოხსენებული იმის მდგომარეობა, უეჭველია, სასარგებლო არ იქნება და მართლაც ასე არის. ეს მდგომარეობა ასუსტებს ყმაწვილის ჯანსა და ასნეულებს ორგანიზმსა. ზოგს ყბები გაუსივდება ხოლმე, ზოგი წელში მოიხრება. ეს უკანასკნელი ისე ცხადია, რომ პირველს შეხედულობაზედ კაცს თვალში ეცემა. ერთს ნაცნობს ახლში ხშირაც მეტყოდნენ ხოლმე: „Вы съ вашими товарищами кренделемъ ходите". (თქვენ თქვენის ამხანაგებით კვერებსავით წელში მოხრილი დადიხართ.) აი როგორც შემეძლო ვილაპარაკე, თუ დედ-მამამ როგორ უნდა გაზარდოს და სწავლა მისცეს თავის შვილებს.......

ამით ვათავებ ამ დროების ქართველების განხილვას. როგორც ხედავ, მკითხველო, ჩვენი შინა-მდგომარეობა ბევრს ნუგეშს არ გვაძლევს. ყველანი წყალ-წაღებულნი ვართ: ქალები ამპარტავნობენ, პრანჭიობენ და შრომას თავს არიდებენ; კაცებს სმა-ჭამა ძალიან უყვართ და მონაგრობა კი არა და მონაგრულის გაფთხილება... ჩვენი მომდევარნიც ჩვენისთანობასვე აპირობენ, რადგანაც იმათი მასწავლებლები ჩვენები ვართ..... ერთი სიტყვით, ერთი ქართველისა არ იყოს „სულ ერთი ერთმანეთზე ვართ გადასაბმელები და წყალში გადასაყრელნი."

ბ. პეტრიაშვილი.

1866-ს წელს

12 აპრილს.

ბატების ფლიდობა, აილეთ ხელში თოფ-იარაღი და მოდით ჩვენთან, იომეთ. ერთად ვიბრძოლოთ თავისუფლებისთვის და იტალიის ერთობისთვის და აქ ამ შეუვალს მთებში, მივცეთ ერთმანეთს ხელი და დავიფიცოთ ერთად, რომ მოვსრნათ უცხოქვეყნელის ხელმწიფობა.—სტორო, 18 ივლისს. ჯუზეპპე გარიბალდი.“

**ახლანდელი ომი ევროპაში.** უ. პეტრუჩელი დელლა-გატინა, რომელიც არის კორესპონდენტი ერთის ფრანცუზულის გაზეთისა, შემდეგის სიტყვებით განიხილავს, როგორი ხასიათი აქვს ახლანდელს ომს. „ამ ომმა ყოველისფრით მოგვატყუა. ფიქრობდნენ რომ ავსტრიელები დაამარცხებენ პრუსსიელებს, რომლებიც უნდა დასჯილიყვნენ ადვილად მოპოებულის სახელისთვის დიუპელთან; ეგონათ, რომ ახალ-გაზდა პრუსსიის არმია ვერ გაუმაგრდება ავსტრიის გამოცდილსა და თოფის წამლით გარუჯულს მხედრობას. აგრეთვე ფიქრობდნენ, რომ სამხედრო საქმეში, სახელ-განთქმული ბენედეკი, რომელიც წინამძღოლობს მინჩიოზედ და პოლესტროზედ გამოცდილს ჯარს შეიბრალებსო ჯერეთ უცნობს მოლტკესა; იძახდნენ. რომ ნემსის თოფის ხმარება უგუნურებაა და ლანდვერი, რომელიც პატივცემულის მეოჯახე კაცებისგან არის შედგენილი, გულ-მხურვალედ არ დაიცავსო უ. ბისმარკის პატივმოყვარულს განზრახვას.—მაგრამ გამოჩნდა, რომ პრუსსიელებმა გასაშტერებლის სიჩქარით გაათავეს ომი; ავსტრიის არმია თითქმის სრულებით გასწყვიტეს. ფიქრობდნენენ, რომ უეჭველად იტალიელები გაპენტავენ ავსტრიელებს. ამის დასამტკიცებლად ათასნაირს მიზეზებს ჩამოსთვლიდნენ ხოლმე. საქმემ კი სულ სხვა დაგვიმტკიცა: იტალიელები დამარცხდნენ მინჩიოზედ და უკან დაიწიეს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იტალიის ფლოტი ერთის დატაკებით შემუსრავს ავსტრიის ფლოტსა. გამოჩნდა, რომ იტალიის ფლოტი პანსიონში გაზდილს ქალწულსავით მოიქცა. ყველა ამტკიცებდა, რომ ავსტრიის კავალერია დალეწავს იტალიის ცხენოსანს ჯარსა და შეიჭრება ქვეითის ჯარის კარეში (ოთხ-კუთხში). საქმით კი სრულებით სხვა გამოჩნდა: ყოველ შეყრაზედ იტალიის კავალერია ამარცხებდა ავსტრიის კავალერიას; ის არამც თუ კარეში, მასროლებშიაც ვერ შევარდა. იტალიის არტილლერიიდგან მოელოდნენ დიდს საქმეს: მაგრამ დამტკიცდა, რომ იმის მეარტილლერიები მარჯვეთ ვერ ისვრიან. ვერ იყვნენ კარგათ გულ-დანდობილნი გარიბალდის ღენერლებზედ, რადგანაც ეგონათ, რომ ისინი სამხედრო საქმეში კარგათ არ არიანო გამოცდილნი; ბიქსიომ და პიანელლიმ ძალიან ბრწყინვალედ დაამტკიცეს, რომ იმათ შესახებ სტყუვიან. ამბობდნენ ავსტრიელები წითელ პერანგა კაცებს ვერ მოუცდიანო; გამოჩნდა, რომ უფრო ხშირად იმათ ავსტრიელები თავს ეცემიან, ვინემც თვითონ ისინი ავსტრიელებს. თვით გარიბალდიც კი დასჭრეს. ფიქრობდნენ, რომ ვენეციის მაზრაში ავსტრიელები ყოველს ფეხის გადადგმა ადგილზედ იბრძოლებენ იტალიელებთან, მაგრამ ამის მაგიერათ ისინი შეიმალნენ ციხეებში და თვალითაც არ დაენახნენ იტალიის არმიას, რომელიც ეძიებს იმას, რომ ბრძოლაში შეებას. ჩვენ დაიმედებული ვიყავით, რომ ვენეციას განათავისუფლებს ჩვენი იარაღი სამშობლო მიწაზედ; გამოჩნდა კი, რომ ვენეცია პრუსსიელებმა დაჰყრეს გერმანიაში და ავსტრია ამ მაზრას აძლევს საჩუქრად უცხო ქვეყნის ხელმწიფეს. ერთი სიტყვით ახლანდელი ომი შეიძლება, რომ ისტორიაში იხსენებოდეს ამ სახელით: ომი მოტყუებულთა. (La guerre des dupes.)

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**შტუტგარდტი**, 20 ივლისს (1 აგვისტოს). აქ მალე მოხდება წინ-და-წინი რჩევა პრუსსიასა და დამარცხებულის ხელმწიფეებს შორის, რომელნიც არიან ღანოვერისა, ნასსაუსი, დარმშტადტისა და საკურფირსტო ღესსენ-კასსელისა. პრინცი ვილლელმი ვირტემბერგისა ჯერ-კიდევ თანახმა არ გამხდარა შერიგებაზედ.

**ვენა**, 20 ივლისს (1 აგვისტოს). ქვემო ავსტრიიდამ გამოვლენ პრუსსიის ჯარები მაშინათვე, როგორც რომ შერიგება მოხდება, ხოლო ბოღემია და მორავია ხელში ეჭირებათ იმათ, ვიდრე ავსტრია არ აუსრულებს პრუსსიას, რასაც შეჰპირებია. ავსტრია გადიხდის სულ 20 მილლიონს ტალერს სამხედრო ხარჯს.

**ვენა**, 20 ივლისს (1 აგვისტოს). პრუსსიის კაროლი წავიდა გუშინ ნიკოლსბურგიდამ.

**ლონდონი**, 20 ივლისს (1 აგვისტოს). რეიტერის საგენტომ მიიღო ატლანტიკის ტელეგრაფით შემდეგი ამბავები ნიუ-იორკიდამ, დღეს, 1 აგვისტოდამ:

„კონგრესსი გადასდეს. სახელმწიფოშინა ს ქმის მდივანი სამსახურიდამ დაეთხოვა. იმის მაგიერად დანიშნულია ბროუნინგი. გრანტმა მიიღო სრული ღენერლობა; შერიდანმა ღენერალ-ლეიტენანტობა.

**ლონდონი**, 21 ივლისს (2 აგვისტოს). ნამდვილად გვაცნობებენ, რომ ანგლიის მმართებლობა დათანახმდა, რომ პრუსსიამ მიიმატოს იმისაგან დაჭერილი სახელმწიფოები, რომლებიც მდებარებენ იმის დასავლეთის და აღმოსავლეთის პროვინციებს შორის, და საჭიროთ არა რაცხავს კონგრესს სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ხელი მოუწერიათ ვენის ტრაქტატზედ, იმ ნაირათ, როგორათაც მოხდა იტალიის შეერთების დროს, 1859 წელსა.

**ფრანკფურტი-მაინზედ**, 21 ივლისს (2 აგვისტოს). გუშინ ნაშუადღევს და სალამოს ხანს, პრუსსიის ჯარი შევიდა ღეიდელბერგს და მანგეიმს, და მცხოვრებლები (ამ ქალაქებისა) მიეგებნენ იმათ დიდის სიხარულით.

**ვენა**, 22 ივლისს (3 აგვისტოს) Presse და Wanderer სწერენ, რომ კლაპკა თავისის ვენგრიის ვოლონტერებით დაამარცხეს, როცა ის აპირებდა ვახტალში შესევას, რომელიც მდებარებს ვენგრიის საზღვარზედ. კლაპკა საჩქაროთ უკუმიიქცა ოდერბურგში. ვენგრიის ხალხმა კლაპკას არავითარი თანაგრძნობა არ გამოუცხადა.

**ბერლინი**, 24 ივლსს (5 აგვისტოს. სათემო კრებამ დღეს ნაშუადღევს მიართვა კაროლს მისალოცავი ადრესი. კაროლმა გამოუცხადა დეპუტაციას მადლობა და უთხრა, რომ პრუსსიამ აილო ხმალი თავის თვითარსებობის დასაცველათ და გერმანიის გადასაკეთებლ-თ. ჩვენ კიდეც განვამტკიცეთ ჩვენი თავისუფლება; გერმანიის გადაკეთებასაც ჩვენ შევიძლებთ ღვთის შემწეობით. ყველაფერი გვარწმუნებს, რომ პრუსსიას მოელის მომავალში ბედნიერება, რადგანაც ჩქარა უნდა დამყარდეს მტკიცე და დაურღვეველი მშვიდობიანობა.

**ბერლინი**, 26 ივლისს (7 აგვისტოს). ხვალ ბერლინში მოელიან ბავარიის და ვირტემბერგის დესპანებს. პრუსსიის დესპანი ბარონი ვერტერი, რომელიც უნდა დაესწროს ავსტრიის და პრუსსიის შერიგებაში, ხვალ პრაგას მიდის. ხმა არის, ვითომც პრუსსიის ღენერალს მანტეიფელს საკუთარის მინდობილებით პეტერბურგს გზავნიან.

ღანოვერის ელჩი გრაფი მიუნსტერი ბერლინიდამ მიდის; იმან ვერა გაარიგა რა. დიდი-ღერცოგი ოლდენბურგისა იმას ამ საქმეში არ შეეწია.

**ბერლინი**, 27 ივლისს (8 აგვისტოს). დღეს ღენერალი მანტეიფელი საკუთარის მინდობილებით პეტერბურგს წავიდა.

**პარიჟი**, 27 ილისს (8 აგვისტოს). დღეს სალამოს მონიტორში სწერენ: ავსტრიასა და იტალიას შუა მოხდა დაბრკოლება: ერთი მხარე ამტკიცებს, რომ ცოტახნის შერიგების საფუძვლად უნდა იყოს მიწები, რომელნიც იტალიის ჯარსა აქვს დაჭერილი. მეორე მხარე ამტკიცებს, რომ სადემარკაციო ხაზი (*) უნდა დამყარდესო იმ საფუძვლით, რომლის გამო ავსტრიამ დაუთმო მიწები იტალიას.

**ფლორენცია**, 26 ივლისს (7 აგვისტოს). გუშინ, რომ იტალიის და ავსტრიის ღენერლების ყრილობა იყო ცოტა-ხნის შერიგებაზედ კორმონში, იმისთანა დაბრკოლება აღიძრა, რომ შერიგება შეუძლებელიაო.

**ნიუ-იორკი**, 25 ივლისს (6 აგვისტოს). ღენერალმა შერმანმა სამხედრო მდგომარეობა დაამყარა ნიუ-ორლეანში.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი**, 4 აგვისტოს. ბერლინში მოიწონეს გერმანიის პარლამენტის ამომრჩევითი კანონი, რომლის გამო ხმა ბილეთებით უნდა მოიკრიფოს. პრუსსიის საფინანსო მინისტრმა მოსთხოვა პალატას, რომ იმან დაამტკიცოს 30 მილლიონი ვალი და გამოუცხადა სახაზინო ბილეთების გამოშვება. ხმა არის, რომ ბავარიასა და პრუსსიას შუა ცოტას ხნის შერიგებაზედ მოლაპარაკება შესწყდა და იმათ შორის შეიძლება, რომ ისევ ომი მოხდესო. ავსტრია თანახმა გახდა, რომ იტალიას პირ-და-პირ მოელაპარაკოს. ფლორენციაში გამოაცხადეს, რომ ავსტრიასა და იტალიას შუა შეიძლება 28 აგვისტომდის მტრული მოქმედება აღიძრას, მაგრამ ამ საგანზედ ათის დღის წინათ უნდა გამოცხადდესო.

**პეტერბურგი**, 7 აგვისტოს. ფრანცია გერმანიას ეცილებოდა რეინსა და ბელგიას, მაგრამ იმისი ცილობა დარჩა უნაყოფოთ. პრუსსიას და ბადენს შუა მოხდა შერიგება. პრუსსია და ავსტრია რვა დღის შემდეგ შერიგდებიან. საბერძნეთში ასტყდა მღელვარება ხონთქრის წინააღმდეგ. კანდიაში თოფ-იარაღი აიღეს. ფრანციის ფლოტი იქ განემგზავრა. ლარნაკში მოუხდა უკმაყოფილება ამერიკის ელჩს მუდირს (?). ამერიკის ელჩი ითხოვს კონსტანტინოპოლში დაკმაყოფილებას და ემუქრება, რომ, თუ დაკმაყოფილებას არ მიიღებს, ის გაგზავნის ჩაჩქან-მოსილს გემს ლარნაკს.

(*) სადემარკაციო ხაზს უწოდებენ 1) იმ ხაზს, რომელიც უჩვენებს საზღვარს ორს სახელმწიფოს შორის და რომელზედაც წინათ ამ სახელმწიფოებს მოსდიოდათ უკმაყოფილება; 2) იმ ხაზს, რომელიც დროებით შერიგების დროს გაჰყოფს ორს ერთმანეთზედ გალაშქრებულს ჯარს.

## ბუნების მეცნიერებიდგან.

### წავი.

ქვეყანაზედ მრავალი იმისთანა ცხოველი არის, რომ მე და შენ, მკითხველო, არამც თუ იმათი ცხოვრება, თვით იმათი სახელიც არ ვიცით... ბუნებაში ყოველს არსებას თავის დანიშნულება აქვს. ყოველს ცხოველს თავისი ადგილი აქვს. ის ცხოვრებს იმ სჯულით, რაც ბუნებას და იმის შინა-აგებულებას იმისთვის განუწესებია. ამისი ცოდნა კაცის გონებას ამდიდრებს და განსწმენდს იმას ბევრის ცრუ-მორწმუნებისგან. რამდენათაც ვრცლათ იცის კაცმა ბუნება და იმისი არსებანი, იმდენათ უფრო ძლიერი და ამაღლებულია ის ამ ქვეყანაში; ამას გვიმტკიცებს მთელი ევროპის ხალხობა....

მიუცილებლათ ჩვენს ქვეყანაში ყველაზედ უფრო შესანიშნავი ცხოველი არის წავი, თუმცა კი იმისი მნახველი იშვიათია. ძლიერ ცოტაა იმისთანა კაცი, რომ მთა-ტყე დაევლოს და ნამეტურ მთების ჩქარ მდინარებისთვის თვალ-ყური ედევნოს. წავი კი არის მცხოვრები ამ გვარის მდინარეებისა და ყოველს იმერელზედ უფრო უყვარს ამ მდინარეების ახალი თევზი და კიდევ უფრო კალმახი. მეტად შემაქცევარი სანახავია, როდესაც წავი ანკარა მდინარის სიღრმეში თევზაობს ხან წინ გარბის, ხან უკან. იქ და აქ წყლიდამ ცხვირის წვერს ამოჰყოფს, რომ სული მოიბრუნოს და შემდეგ ისევ გაჰქრება მორევში, რომ ხელ-ახლა აამღვრიოს ჩქარის კალმახების სიმყუდროვე. კაცი ძალიან ძნელად მოავლებს თვალს წყალში წავსა და იმის იქ მყოფობა მხოლოდ იმითი შეინიშნება, რომ წყლის სიღრმიდამ ამოდის შეუწყვეტელი ბაწარი წვრილ-წვრილის წყლის ბუშტებისა და ისარსავით წამის-წამს ამოსჭრის ხოლმე წყალს თვით წავის ტუჩი, რომ ჰაერი შეისუნთქოს და შემდეგ ისევ ჩაიყურჭუმალოს.

წავს ასეთი ბასრი და მაგარი კბილები აქვს რომ, რაც უნდა სრიალა და სწრაფი თევზი იყვეს, იმის კბილებს მაინც ვერ გაუსხლტება. ხან-და-ხან რომ წავი წყლიდამ არ ამოიხედავდეს სულის მოსაბრუნებლად, იმას ვერც ერთი თევზი ვერ მოურჩება დაუჭერავი. წავისთვის სულ ერთია გინდ ზევით უცურავნია, გინდა სიღრმეში, უნდა წინა-ტანით წავა, უნდა უკანა ტანით, ერთის სიტყვით წყალში ყოველნაირათ იმოძრავებს. თუ წავი წყალშია, ის მუდამ მოძრაობაშია, ბრუნავს ყოველ გვარად და გეგონება, რომ განზრახ თამაშობსო. ხან-და-ხან წავი ცურავს ცალ გვერდზედ, მერე დაიწყებს ბრუნვას, მინამ ზურგით არ დაწვება, შემდეგ გაშლის ტანს. დაიწყობს გულზედ და მუცელზედ თავის ფეხებს და მხოლოდ კუდსა და თავს ანძრევს ხან იქით და ხან აქეთ. ამ შემთხვევაში იმისი გძელი ტანი და კუდი საკვირველად მიემზგავსება გველსა. რაც უნდა დიდ ხანს დარჩეს წყალში, წავის ბეწვი მაინც არ დასველდება და, როგორც ბევრი ამბობს, ღამ-ღამე კიდეც ანათებს. ზამთარში როდესაც მდინარეებს გაჰყინავს, წავი მოსძებნის ხოლმე იმ გვარ ალაგს, სადაც ყინულის ნახვრეტებია, ჩასძვრება შიგ და ცურავს, ამ ცურვაში ის პოულობს ხოლმე დიდის მოხერხებით ახალსა და ახალს ყინულის ნახვრეტებს ამოყოფს ხოლმე შიგ ტუჩსა და სუნთქავს. ხშირად შეხვდება ხოლმე კაცი ზამთარში წავს, რომელსაც წელი მაღლა შეუხრია, გაჯავ-

რებულ კატასავით, თავი ძირს დაუღია, მოკუნტულა და ამ რიგათ გაყინულს მდინარეზედ, ანუ თოვლზედ თავ-დაღმა მისრიალებს.

წავი არის გრძელის ტანისა, მოკლე ფეხებზედ დგას და თითებ შუა ფართო ტყავი აქვს გამჯდარი, ბატის ფეხებსავით, ყურები მოკლე და ფართო; ისინი ძლივს გამოჩანან გძელსა და რბილს ბეწვში. თავი აქვს მსხვილი და ბრტყელი, ტუჩი მოკლე და ფართო.

წავის ბეწვი საკვირველი რბილი და თბილია; იმას უფრო შავი ფერი დასცემს. ამ შავს ფერში ხშირად თეთრ-თეთრი გძელი ბანლებია ამოსული და ისინი თვით ტყავსაც ვეცხლის ფერს გადაჰკრავენ. ტუჩებზედ წავსა აქვს თეთრი ფორაჯები. წავის შავი ბწკიალა თვალები ამტკიცებენ იმის განცხოველებულს მოძრაობას. ძნელად გაიგონებს კაცი წავის ხმას, თუ შინ არა ჰყავს დატუსაღებული. როდესაც აღელვებულია, წავი სტვენს ხმა მაღლა და სასიამოვნოდ. იმ მდინარის პირზედ, სადაც წავს დაუბუდნია, იმას აქვს რამოდენიმე სორო გათხრილი. თუ რომ თევზი ბევრია მდინარეში, მაშინ წავი ერთ სოროსაც იკმარებს. წავი ისეთი ფხიზელია, რომ მეტი არ შეიძლება. თუ ხმელეთად არის გამოსული, კაცი ას ნაბიჯზედაც ვერ მიეკარება. თვალი და ყური ძლიერ უჭრის. ყნოსვა კარგათა აქვს გახსნილი. დღე უფრო ხშირად წავი თავის სოროში იმყოფება, ღამე კი ყოველთვის წყალში ნადირობს. თუ წყალმა მეტისმეტად მოიმატა და სორო წყლით ამოუმსო, მაშინ ის ხეზედ შეიმალება.

თევზს გარდა წავი იჭერს კიბოს, ცხრა-ფეხას და წყლის ლოკოკინებს; მაგრამ ბატი და იხვი თუ მოხვდა იმ წყალში, სადაც თვით წავი იმყოფება, ის იმათის ხორცითაც კი მოითხოვს ხოლმე დღიურს ლარჯსა.

„შტუტგარდტის მშვენიერს ბაღებში რომ ტბები არიან, იქ მრავალი შინაური და გარეული იხვი და ბატი იბუდებს—ამბობს ტესსინი.—ტბებში თევზი და კალმახი ურიცხვია. 1824 წელს ზაფხულზედ ამ ტბებს შეეჩვია ერთი წავი და დიდს ზარალს აძლევდა ამ წყლების მცხოვრებლებს, მაგრამ ვერავინ კი ვერ მიხვდა, თუ ვინ იყო ასე შემაწუხებელი ამ მშვიდობიანის მდგმურებისა. დღითი დღე ნახავდნენ ხოლმე აუზების ნაპირებზედ და თვით კუნძულზედ, რომელნიც იყვნენ ამ ტბებში, დანგრეულს ბუდეებს და კვერცხებს შიგნიდამ გამოჭმულს; პატარა ბარტყები წამის წამს იკარგებოდნენ და იმათ კვალს ვერსად ვერ პოულობდნენ; ძველ-ძველს იხვებს კი ხშირად ნახავდნენ ხოლმე, რომელთაც თავი და კისერი მოჭმული ჰქონდათ. ბატები და ქრუნები მწარედ დაჭრილნი ბასრის კბილებითა ხშირად კვდებოდნენ ხოლმე. ვინ იყო ამ საქმის ჩამდენი, არავინ არ იცოდა. ბოლოს კაროლის მებაღემ, ბოშმა ერთს მთვარიანს ღამეში განიზრახა, მიღარაჯება ტბის ნაპირზედ. შუაღამემდის ფრინველებში ასტყდა დიდი ალიაქოთი, წვრილ-წვრილი იხვები საწყლად ყვიროდნენ და მხოლოდ მაშინ მიწყნარდა ეს შფოთვა და ყვირილი, როცა ფრინველები წყლიდამ ამოვიდნენ. უ. ბოში ცდილობდა ფრინველები ისევ წყალში ჩაერეკა, მაგრამ ისინი არას გზით წყალში აღარ ჩადიოდნენ. შუაღამის პირველს საათზედ ბოშის მახლობლად ჩავიდა წყალში ერთი გარეული იხვი. ამის შემდეგ ბოშმა დაინახა წვრილ-წვრილი წყლის ბუშტები, რომელნიც ბაწრად გაბმულნი ამოდიოდნენ ზევით ტბის სიღრმიდამ. შეეძლო კაცს ეფიქრნა, რომ ეს სწორეთ დიდი თევზია და მაღლა მოცურავსო, მაგრამ ბუშტების ნაკადული მეტის მეტად ჩქარა წინ მოდიოდნენ და დიდი თევზი კი ასე ჩქარა ცურვას არ დაიწყებდა. როგორც კი შენიშნა ეს იხვმა, იმავ წამს წყლიდამ ამოფრინდა და გადიკარგა. ბუშტების ნაკადული თან და თან უახლოვდებოდა ბოშსა, ასე რომ ბოლოს იმან ესროლა თოფი მსხვილი საფანტით გატენილი. ამის შემდეგ წყალი დაწყნარდა. ბოში ჩავიდა წყალში ნავითა და მალე ნახა რბილი რაღაცა, ტბაში ჩაძირული, და გამოათრია ბარჯით ნაპირას. ეს იყო მამალი წავი თითქმის ორი არშინი სიგძე კუდის ბოლომდის და ერთ ბათმანზედ მეტს იწონიდა. ამის შემდეგ ფრინველებს მიეცათ მოსვენება.

სასიამოვნო სანახავია, როცა წავი წყალში ნადირობს: ის ხან ამოეფარება ერთს ქვის ძირს და უყარაულებს თევზს, რომელიც აპირებს ქვის ქვეშ შეწოლას; ხან გამოეკიდება მოზდილს ნაფოტა-თევზს და საკმაოა იმის დასაჭერად, თუ ერთი ბასრი კბილი იმან სადმე მოჰკრა. ზოგჯერ წავი კუდს დაჰკრავს ხოლმე წყალზედ, რომ თევზები შეაშინოს; შემდეგ დაეცემა ხოლმე ქორივით შეშინებულს თევზს, რომელიც შეძვრება ხოლმე ქვის ქვეშა თავის შესაფარებლად. წავის პატარა კლანჭები მეტად მჭრელია.

წავი ბევრ კაცს ჰყოლია მოშინაურებული და ბევრს გასართობს ამბავსაც მოგვითხრობენ იმის ჭკუაზედ და ნადირობაზედ, მაგრამ იმ მოთხრობას მაინც არა შეედრება რა, რომელსაც გვიამბობს ერთი პოლშელი აზნაური ქრიზოსტომი პასსეკი თავის მოშინაურებულს წავზედ, რომელიც იმას გაუწაფავს თევზის ნადირობაში. აი ის რას ამბობს: „1686 წელს, როდესაც მე ვცხოვრებდი ოლიცოვკოში კაროლმა (პოლშისამ) გამოჰგზავნა ჩემთან კავალერი სტრაშჩევსკი, წავი მთხოვა და მაგიერად შემპირდა დიდს წყალობას. რა მექნა, უნდა გამოვეთხოვებოდი ჩემს საყვარელსა. ცოტა დავიხემსეთ და გავედით მინდორზედ, რადგანაც იმდროს ჩემი წავი სახლში არ იყო. ის მაშინ ნადირობდა მახლობელს წყლის საგუბარში. მე დაუძახე „ვურმ“ და იმან იმავ წამს ჰილიდამ თავი ამოყო, მომვარდა და დაიწყო ჩემწინ ხტომა და თამაში. სტრაშჩევსკი გაკვირდა და სთქვა: „ოჰ, რა გაეხარდება კაროლს ამისთანა ცხოველის შოვნა.—„შენ მაგას მარტო ამისთვის აქებ, მაშ მაგის სხვა თვისებაები რომ ნახო, სულ გადირევი“—მე ვუთხარი. ჩვენ წავედით იქვე წყლის საგუბარში; შევდექი ტივზედ და დაუყვირე: „ვურმ“ სტუმრებისათვის თევზი მინდა, აბა წყალში ჩადი და თევზი დამიჭირე“. წავი ჩახტა მარდათ და ამომგვარა ნაფოტა-თევზი, მეორეთ ამოიყვანა ერთი პატარა ქარი-ყლაპია თევზი, მესამეთ უფრო მოზდილი, რომელსაც კისერში ჰქონდა ნაკბენი. სტრაშჩევსკიმ შემოიკრა თავში ხელი და დაიყვირა „ღმერთო, ამას რას ვხედავ!“—ზინდა კიდევ ვეტყი, კიდევ დამიჭერს, ერთის სიტყვით რამდენსაც ვეტყვი, იმდენსა“. სტრაშჩევსკის მეტად უხაროდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ამ ამბებით ბევრს ასიამოვნებდა კაროლსა. მე ვაჩვენე იმას ამ ცხოველის ყველა თვისებანი და შემდეგ გავატანე კაროლთან.“

წავი იწვა ხოლმე ჩემთან და ასეთი ფაქიზი იყო, რომ არაოდეს არც ჩემი ქვეშსაგები და არც ოთახი არ გაუსვრია. ის იყო ჩემი მცველი. ღამე ჩემ ლოგინთან მოსვლა არავის შეეძლო. ბიჭსაც არ ანებებდა, რომ ჩემთვის ფეხი მოეხადა. ის გააბამდა ასეთ ყვირილსა, რომ, რაც უნდა ღრმად მძინებოდა, მაინც გამომაღვიძებდა. ხან-და-ხან, როცა დავითვრებოდი, წავი მანძრევდა და მივლიდა გარშემო, მინამ არ გამომაფხიზლებდა. დღე სადმე კუთხეში ეძინა ისე მაგრად, რომ ხელითაც გეტარებინა, თვალს მაინც არ გამოახელდა. თუ ხელს ვინმე მომკიდებდა და დავიძახებდი: „ვურმ მიჭირენ, მომეხმარე“ ის იმავ წამს გამოექანებოდა და ჩემ დამჭერს ხან ტანსაცმელში სწევდა და ხან ფეხებში კბენდა. იმას უყვარდა ერთი ბანჯვლიანი ოთახის ძაღლი და არაოდეს არ სცილდებოდა; ამ ძაღლისგან ისწავლა ჩემმა წავმა ბევრი რამეები. სხვა ძაღლები კი არ უყვარდა. ერთხელ სტანისლავი ოცარსკი მესტუმრა. „დაიჭი ეს მწევარი“—უთხრა იმან თავის შვილს—მეშინიან წავს არ ეცეს“!—„ნუ გეშინიან, ჩემი პატარა მხეცი მაგისთანა შეურაცხებას არ მოითმენს—მე ვუთხარი.—„შენ ხუმრობ, და ჩემი მწევარი მგელს ეჭიდება, მელას კი სულის მობრუნებასაც არ დააცლის, ისე უცბათ გაგუდავს“. წავი დიდხანს მეთამაშებოდა და, როცა უცხო ძაღლი დაინახა, ჩახტა ძირს, აუარჩამოუარა უცხო მწევარს, დასუნა უკანა ფეხებში და განშორდა. ჩვენ ისევ რაღაც ლაპარაკს გავერთვით. ამ დროს მიეპარა წავი ძაღლს უკანიდამ და ასეთ ღონივრად შამოჰკრა იმას ყბაში თავისი თათი, რომ მწევარი გადახტა კარებისკენ და იქიდამ შევარდა ბუხრის თავზედ. წავი უკან გამოეკიდა და უნდოდა იმასაც ბუხრის თავზედ შესვლა. ძაღლმა რომ მეტი ველარ მოახერხარა, ჩამოხტა ჩვენ სუფრაზედ და ორი ბროლის სტაქანი, ღვინით სავსე, გაგვიტეხა. ის კარში გავაგდეთ და ამის შემდეგ სახლში აღარ შამოგვიკარებია, თუმცა იმის პატრონი მეორე დღეს შუადღემდის ჩემთან დარჩა.—თუ კარში რომელიმე ძაღლი მიეკარებოდა წავსა და დაუწყებდა დასუნვას, ის იმისთანა უსიამოვნო ხმით გააბამდა ყვირილს, რომ ძაღლი იმავ წამს გაშორდებოდა“.

„ეს ცხოველი ბევრს კარგს საქმეს მიკეთებდა. როცა წავიდოდი სადმე მარხვაში და, თუ ჩემი წავი თან მყავდა, მივიდოდი ხოლმე სადმე მდინარის პირზედ, ვეტყოდი „ვურმ, ჩადი თევზი დამიჭირე“. ის ჩავარდებოდა მაშინვე წყალში და მოკლეს დროს იმდენს დაიჭერდა, რომ ჰეც მეყოფოდა და ჩემ მოსამსახურეებსაც“. „როცა ის მომაცილეს, საწყალი საშინლათ სწუხდა, იგლიჯებოდა გალიაში და საოცრად ყვიროდა“.

კაროლს დიდი ხანი არ ჰყოლია ეს წავი. როგორც მიგვარეს ის იმავ საღამოს გალიიდამ გაიქცა და ერთმა კაროლის დრაგუნმა მოჰკლა, რომელმაც არ იცოდა, თუ ის შინაური იყო. იმან ამ წავის ტყავი მიჰყიდა ერთ ურიას. უნდა ვთქვათ, რომ წავის ტყავი ძვირად ფასობს. იმის თბილს და საკვირველს რბილს და სასიამოვნო ფერის ბეწვსა ჰმარობენ შინლის საყელოზედ მოსავლებად და ეძახიან ბაბორსა.

## სახაზინო განცხადებაები.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 31.)

1) სახაზინო ქონების დეპარტამენტი ამ წლის 5 სეკტემბერს დანიშნავს ტორგს თერთმეტის დუქნის იჯარით მისაცემათ. ეს დუქნები ეკუთვნის საეკკლესიო უწყებას და იმყოფებიან ქ. ტფილისს. ვისაც უნდა აიღოს იჯარით ეს დუქნები, ის უნდა გამოცხადდეს ტორგზედ კანონიერის გირაოთი.

2) ზემოხსენებული დეპარტამენტი 5 მომავალს სეკტემბერს დანიშნავს ტორგს იჯარით მიწის გასაცემად 1867 წელს 1-ს იანვრიდამ. ეს მიწები ეკუთვნიან საეკკლესიო უწყებას და იმყოფებიან სურამის უჩასტკის სოფელთან ქვენატკოცთან. ეს მიწები შეიცავენ 516 დესეტინას და 425 საჟენს კარგს მიწას, 58 დესეტინას და 1150 საჟენს უვარგს მიწას. პერეტორჟკა სამის დღის შემდეგ მოხდება.

3) იმავე დეპარტამენტში მომავალს 15 სეკტემბერს არის დანიშნული ტორგი იჯარით მისაცემათ ხეხილიანი ვენახისა, რომელიც არის საეკკლესიო უწყებისა და იმყოფება სიღნაღის უეზდის სოფელს კარდანახს, ვისაც უნდა ეს ვენახი იჯარით აიღოს, ის უნდა გამოცხადდეს დანიშნულს ვადაზედ კანონიერის გირაოთი.

4) იმავე დეპარტამენტშია დანიშნული ტორგი იჯარით მისაცემათ ხეხილიანი ვენახისა, რომელიც ეკუთვნის საეკკლესიო უწყებას და იმყოფება სართიჭალის უჩასტკის სოფელს ხაშმსა. ტორგი უნდა მოხდეს 15 სეკტემბერს და მომავალის წლის 1-ლს იანვრიდამ კი იჯარით უნდა გაიცეს. ვისაც სურს აიღოს ეს ვენახი იჯარით, ის უნდა გამოცხადდეს დანიშნულს ვადაზედ ტორგში კანონიერის გირაოთი.

5) საქალაქო საზოგადოების სამმართველო გამოაცხადებს, რომ მომავალს 1-ლს აგვისტოს დანიშნულია ტორგი შეშის დასამზადებლათ სატუსაღო და მეტეხის ციხეებისთვის და აგრეთვე საყარაულოებისთვის და საქალაქო სახლის დასათბობათ, რომელიც უჭირავს კომენდანტს. შეშა უნდა დამზადდეს 217 საჟენი და ერთი არშინი. ვისაც უნდა ამ იჯარის აღება, ის უნდა გამოცხადდეს თავის დროს კანონიერის გირაოთი.

6) ტფილისის საქალაქო სამმართველო გამოაცხადებს, რომ მომავალს 16 აგვისტოს დანიშნულია ტორგი იჯარით მიცემაზედ ბაჟისა საკლავზედ პირუტყვის გასასყიდათ, ვადით 1866 წლის 1-ლს სეკტემბრიდამ 1869 წლის 1-ლს სეკტემბრამდე. ვისაც უნდა აიღოს ეს ბაჟი, ის გამოცხადდება საქალაქო სამმართველოში დანიშნულს ვადაზედ კანონიერის გირაოთი.

7) კავკასიის უმთავრესის მთავრობის ნებართვით ქ. ქუთაისს უნდა აშენდეს ქვითკირის სატუსაღო სხვა და სხვა საოჯახო კუთვნილებით თურთ, 150 ტუსაღისთვის. გამოანგარიშებით ამ შენობაზედ დანიშნულია 60 ათასი 804 მანეთი და ორი აბაზი. ამ სატუსაღო შენობების ასაშენებლად მოხდება ტორგი ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში 1866 წელს 24 სეკტემბერს. პერეტორჟკა სამის დღის შემდეგ მოხდება.

8) ტფილისის გუბერნიის სასამართლომ გადასწყვიტა, რომ დაინიშნოს ტორგი საყოველთაოდ გასასყიდათ უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეს ხეჩანოვისშვილს სოლომონს. ეს ქონება იმყოფება ტფილისის მესამე კვარტალის 1-ლს ნაწილში, № 267-თმ და შეიცავს ხუთს ძველს ქვითკირის დუქანს თავისის მიშენებულობითა, ეზოთი და მიწით, რომელსაც 58 კვადრატის საჟენი სივრცე აქვს. მთლად ეს ქონება 3 ათას მანეთად არის დაფასებული. იმის გასყიდვის ვადაა 24 სეკტემბერს. პერეტორჟკა მოხდება სამის დღის შემდეგ.

---


БИБЛІОГРАФИЧЕСКОЕ ИЗВѢСТІЕ.

Вышло изъ печати:

# РУКОВОДСТВО

къ первоначальному практическому обученію русскому языку для дѣтей грузинъ.

Составилъ Г. К—ли.

---

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა:

# სახელმძღვანელო

რუსულის ენის სასწავლებლად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის.

შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ.

ფასი 1 მანეთი და 25 კაპ.

ისყიდება: ტფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში; სემინარიაში, უფ. იაკობ გოგებაშვილისას. ქუთაისს—გერასიმ კალანდარიშვილისას.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го августа 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.